სკოლაში დაბრუნება

ახალი სასწავლო წლის პოზიტიური დასაწყისი



მშობლებისათვის

EDUCATION FOR DEMOCRACY

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

ჩართულობა ონლაინსივრცეში

წვდომა და ინკლუზია

ყოველ ბავშვს აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა ციფრულ ცხოვრებაში შიშისა და გარიყვის გარეშე.

- ხშირად ჰკითხეთ შვილებს მათი ციფრული აქტივობების შესახებ.
- წაახალისეთ ისინი, რომ მოგმართონ ნებისმიერ დროს, როდესაც თავს არაკომფორტულად ან გარიყულად იგრძნობენ.

სწავლა და შემოქმედებითობა

ონლაინსწავლება დღევანდელი განათლების ის განსაკუთრებული ნაწილია, რომელიც ბავშვებს მომავალი გამოწვევებისათვის ამზადებს.

- დაესწარით მათთვის საინტერესო ვირტუალურ გამოფენებს შვილებთან ერთად და მოუძებნეთ მათ ისეთი ვორქშოპები, სადაც ისინი ციფრული ტექნოლოგიების კრეატიულად გამოყენებას ისწავლიან.

მედია- და ინფორმაციული წიგნიერება

დღევანდელი ინფორმაციული საზოგადოებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ბავშვების კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება.

- ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ინტერნეტის ექსპერტად წარმოაჩინოს თავი. შვილებთან ერთად ესტუმრეთ რამდენიმე ვებგვერდს და გადაამოწმეთ, რამდენად ზუსტია იქ განთავსებული ინფორმაცია. ინფორმაციას რა ხერხებით ამოწმებთ?

კეთილდღეობა ონლაინსივრცეში

ეთიკა და ემფატია

ბავშვები თანასწორობის, სამართლიანობის, მრავალფეროვნების მიმართ ღიაობისა და ემფატიის შესახებ ყველაზე უკეთ შინ და სკოლაში დანახული მაგალითებით სწავლობენ.

- მოამზადეთ თქვენი შვილები ბულინგთან გასამკლავებლად.
- გადახედეთ ანტი-ბულინგის რესურსებს მშობლებისათვის და ესაუბრეთ შვილებს იმის შესახებ, რასაც აქ ისწავლით.

ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

ასწავლეთ ბავშვებს დაიცვან ბალანსი რეალურ და ვირტუალურ ცხოვრებასა და საშინაო და საგარეო აქტივობებს შორის.

- შეადგინეთ ოჯახური ხელშეკრულება შვილებთან ერთად, სადაც გაიწერება მათ მიერ ტექნოლოგიების გამოყენებისათვის დაშვებული დრო, შესვენებების აუცილებლობა და ონლაინმუშაობასას ხერხემლის ჯანსაღი მდგომარეობის კონტროლის აუცილებლობა.

ინტერნეტსივრცეში თავის წარმოჩენა და კომუნიკაცია

ციფრული ტექნოლოგიების დიდი რაოდენობით საგანმანათლებლო მიზნებით გამოყენების პირობებში, ბავშვები მეტად უნდა იყვნენ ინფორმირებულები ეთიკური და კონფიდენციალური ინტერაქციის შესახებ.

- გაიაზრეთ შვილებთან ერთად ონლაინკომუნიკაციისას თავაზიანობის გამოხატვის გზები.
- შეახსენეთ მათ, რომ ხშირია ღიმილაკების არასწორი ინტერპრეტაცია.

ონლაინუფლებები

აქტიური მონაწილეობა

სკოლა დემოკრატიული საზოგადოების მიკროსამყაროა, სადაც მოსწავლეები მოქალაქეობრივ უნარებს პრაქტიკაში ეუფლებიან და დემოკრატიული თანაარსებობის გამოცდილებას იღებენ.

- მოძებნეთ ისეთი ხელმისაწვდომი არასასკოლო აქტიობები, სადაც თქვენი შვილების ხმას შეისმენენ.
- აუხსენით მათ, თუ რას ნიშნავს იყო აქტიური ან პასიური მონაწილე.

უფლებები და პასუხისმგებლობები

ახალი სასწავლო წელი იდეალური დროა განათლების უფლებაზე სასაუბროდ და სადისკუსიოდ, ასევე იმის დასაზუსტებლად, თუ რამდენად დაცულია სხვების უფლებები.

- შვილებთან ერთად შექმენით პოსტერი უფლებებისა და პასუხისმგებლობების თაობაზე ყოფით ცხოვრებაში.
- ალაპარაკეთ ისინი იმის თაობაზე, თუ როგორ წარმოჩინდება ეს ყველაფერი ონლაინსამყაროში.

კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება

იმ ციფრული პლატფორმების უსაფრთხოება და ბავშვთა საჭირებებზე მორგებულობა, რომლებსაც მოსწავლეები სასკოლო საქმიანობისათვის და გასართობად იყენებენ, რეგულარულად უნდა გადამოწმდეს როგორც სკოლების, ისე მშობლების მიერ.

- თქვენი შვულების გაჯეტებზე დააყენეთ და რეგულარულად განაახლეთ უსაფთხოების პროგრამები (ფილტრები, ფაერვოლები, ანტივირუსები) და აუხსენით მათ, რატომაა კონფინეციალურობა ამდენად მნიშვნელოვანი.

ონლაინუფლებები

სამომხმარებლო ცნობიერება

როდესაც ბავშვებს ახალი სასწავლო წლისათვის ამზადებთ, გაითვალისწინეთ, რომ მოქალაქეობა მოიცავს როგორც ნახშირბადის ნაკვალევზე* ზრუნვას, ისე ვაჭრობის ეთიკური ნორმების დაცვას.

აუხსენით შვილებს სხვაობა „მჭირდებასა“ და „მინდას“ შორის და განუმარტეთ მათ, რომ თანატოლთა ზეწოლას ბრენდული ტანსაცმლისა და გაჯეტების თაობაზე უარყოფითი გავლენა აქვს ინდივიდების მრავალფეროვნებაზე.

*ნახშირბადის ნაკვალევი - თითოეული ინდივიდის მიერ წარმოებული ნახშირბადის ემისიის ექვივალენტი

ონლაინ- და ოფლაინ გამოცდილებაზე დაყრდნობით, დაეხმარეთ შვილებს გახდნენ ციფრული მოქალაქეები როგორც სკოლაში, ისე საზოგადოებაში.

ევროპის საბჭოს ციფრულ მოქალაქეობასთან დაკავშირებული სხვა გამოცემები

- Educating for a video game culture – A map for teachers and parents (2021)
- Easy steps to help your children become a Digital Citizen (2020)
- Keeping young citizens busy at home during the Corona crisis (2020)
- Parenting in the digital age – positive parenting strategies for different scenarios (2020)
- Digital Citizenship Education Handbook (2019)
- Bullying: perspectives, practice and insights (2017)
- Internet Literacy Handbook (2017)

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ აქ:
www.coe.int/education

ავტორები:
Janice Richardson
Veronica Samara

თარგმნა: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

PREMS 119621

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE